

რკინიგზის სადგურების ტერიტორიაზე სარეკლამო საქმიანობის
განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით ინტერესთა გამოხატვის
გამოცხადების განმხილველი კომისიის სხდომის

ოქმი N1

თბილისი

2017 წლის 21 თებერვალი

შპს „ჯიარ ქონების მართვის“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 7 თებერვლის ბრძანებით შექმნილმა, შპს „ჯიარ ქონების მართვის“ საკუთრებაში არსებული ოცდასამი რკინიგზის სადგურის („ვაგზლის“) ტერიტორიაზე სარეკლამო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების და შედეგების განმხილველმა დროებითმა კომისიამ გენერალური დირექტორის კობა ლაცაბიძის თავმჯდომარეობით, კომისიის წევრების: თამაზ ბარაბაძის, ანი ჯაფარიძისა და მია ბუაძის მონაწილეობით განიხილა აღნიშნულ საკითხზე განთავსებულ საჯარო განცხადების შესაბამისად, ამ უფლების მიღებით დაინტერესებული პრეტენდენტების მიერ დალუქულ კონვერტებით წარმოდგენილი მომართვები და შესაბამისი შემოთავაზებები.

კომისიის სხდომაზე სულ წარმოდგენილ იქნა ხუთი დალუქული კონვერტი, რომელთა გახსნა დაიწყო 15 საათსა და 10 წუთზე, კომისიის წევრების თანდასწრებით, რიგრიგობით რა დროსაც გაირკვა შემდეგი:

1. პრეტენდენტის, შპს „ალმას“ შემოთავაზებით, ზემოაღნიშნული უფლების სანაცვლოდ, გათვალისწინებული იყო ყოველთვიური საფასურის განსაზღვრა 20500(ოცი ათას ხუთასი) ლარით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით;
2. პრეტენდენტის, ფ/პ-ის ზვიად მეფარიშვილის მიერ ზემოაღნიშნული უფლების სანაცვლოდ გათვალისწინებული იყო ყოველთვიური საფასურის განსაზღვრა 30 500(ოცდაათი ათას ხუთასი) ლარით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით;
3. პრეტენდენტის, შპს „ფავორიტი ედვერთისმენტი“-ს მიერ, ზემოაღნიშნული უფლების სანაცვლოდ გათვალისწინებული იყო ყოველთვიური საფასურის განსაზღვრა 15 000(თხუთმეტი ათასი) ლარით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით;
4. პრეტენდენტის, შპს „დბს“-ს მიერ, ზემოაღნიშნული უფლების სანაცვლოდ გათვალისწინებული იყო ყოველთვიური საფასურის განსაზღვრა 20 000(ოცი ათასი) ლარით, (დღგ-ს ჩათვლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით;

შპს ჯიარ ქონების მართვა
21.02.2017
№ 0000024

5. პრეტენდენტის, შპს „ბიგ ბორდი“-ს მიერ, ზემოაღნიშნული უფლების სანაცვლოდ, გათვალისწინებული იყო, ყოველთვიური საფასურის განსაზღვრა 16,005(თექვსმეტი ათას ხუთი) ლარით, (დღგ-ს ჩათლით) უფლების 20 წლის ვადით მიღების პირობით.

კომისიამ დაადგინა:

დაევალოს კომისიის წევრებს, უზრუნველყონ წარმოდგენილი წინადადებების შესწავლა და საკითხის მომზადება არსებითი განხილვისათვის;

კომისიის სხდომა წარმოდგენილი წინადადებების არსებითად განხილვისათვის დაინიშნოს ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე:

კობა ლაცაბიძე

წევრები:

თამაზ ბარაბაძე

ანი ჯაფარიძე

მაია ბუაძე